9 აპრილს — საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში

ხმა მივცეთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მომავალს, აღმშენებლობას — დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, ეკონომიკის განვითარებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების მიზანად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა პალად!

ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

1 აპრილი 2000 წ.
№9
(9387)
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთის რაიონული გაზეთი

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო პროგრამა ოზურგეთის რაიონში

	პროგრამით გათვალისწინებული პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა	პროექტის განხორციელების სტადია	დასრულების ვადა
1	*საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტები*	პროექტებში დახარჯულია 160000 ლარი, სულ რაიონში გათვალისწინებულია 620000 ლარის სამუშაოების შესრულება		
ა	სოფ. მრომის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთება	99000 ლარი	დასრულების სტადიაშია	2000 წ. მარტი
ბ	სოფ. ბახვის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთება	150000 ლარი	საწყის სტადიაშია	2000 წ.
გ	ანასეულის წყალსადენის რეკონსტრუქცია		მზად არის სატენდეროდ	2000 წ.
დ	ლიხაურის წყალსადენის რეკონსტრუქცია		მზად არის სატენდეროდ	2000 წ.
ე	თხინვალის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთება		მზად არის სატენდეროდ	2000 წ.
2	*საქართველოს მუნიციპალური რეფორმების პროგრამისა და დეცენტრალიზაციის პროექტები*			
ა	ოზურგეთის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს შენობის გადახურვა	200000 ლარი	გაფორმებულია ხელშეკრულება რაიონსა და პროგრამის კოორდინატორს შორის	2000 წ.
ბ	ქ. ოზურგეთის წყალკანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია	ხელმოწერილია ხელშეკრულება	2000 წ.	
3	*300 მუნ. ს

ოზურგეთის რაიონულ გამგეობაში

რაიონის ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში და ავტომაგისტრალების გასწვრივ აშენებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის შესახებ

ოზურგეთის რაიონის გამგებლის 2000 წლის 20 მარტის განკარგულებით (№48) ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი გამგებლის აღრინდელ - 1999 წლის 31 აგვისტოს განკარგულებაში (№143) „რაიონის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების ცენტრში და ავტომაგისტრალების გასწვრივ აშენებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიმღები რაიონული კომისიის შექმნის შესახებ“.

რაიონული კომისია ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით:

ზია მამაკაიშვილი – კომისიის თავმჯდომარე, რაიონული გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე; თემურ მურვანიძე – კომისიის მდივანი, მთავარი სპეციალისტი; მანანა უნგიაძე – სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი; ზია ბობრონიძე – რაიონის სახანძრო ზედამხედველობის უფროსი; თემურ ჩხარტიშვილი – რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსი; ზია ჩხაიძე – შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების აღმინისტრაციული პოლიციის უფროსი; თამაზ კვაჭანტირაძე – რაიონის გამგეობის ტექაღრიცხვის ბიუროს უფროსი; ზელა ლომჯარია – რაიონის არქმშენინსპექტორი; თემურ საჯაია – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსი; თემურ ხმელიძე – რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსი.

კომისიამ ორი თვის ვადაში უნდა მოახდინოს 1995 წლიდან დღემდე აშენებული ობიექტების ინვენტარიზაცია, რის პროცესში უნდა შეაჩეროს ყველა იმ ობიექტის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლებსაც არ გააჩნიათ სრულყოფილად ქ. ოზურგეთში ქალაქის გამგეობის, ხოლო რაიონის დანარჩენ ტერიტორიაზე რაიონის გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილებები და სხვა სპეციალური დოკუმენტაცია.

ასევე, კომისიამ უნდა შეაჩეროს იმ ობიექტების ფუნქციონირება, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სამშენებლო ნორმებსა და წესებს, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს.

კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის (№7) და 25 ნოემბრის (№688) ბრძანებულებებით, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს 1999 წლის 7 დეკემბრის (№66) ბრძანებით „მშენებლობა დამთავრებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ.

ზემოთაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, მშენებლობაში სახელმწიფო წესრიგის დამყარებისა და სისტემატური კონტროლის უზრუნველსაყოფად კომისიას დაევალა შექმნას მუშა ჯგუფი და განუსაზღვროს მუშაობის რეგლამენტი, რის თაობაზეც არაუგვიანეს ამ წლის 5 აპრილისა, გამგეობას წარმოუდგინოს ინფორმაცია.

კომისიამ და მუშა ჯგუფმა თავიანთი საქმიანობა განახორციელონ გურიის მხარის მშენებლობისა და ურბანიზაციის დეპარტამენტთან კოორდინაციაში, კომისიამ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინოს გამგეობის სხდომაზე ექვსი თვის შედეგების შეჯამების დროს.

ინსტრუქციები რაიონის ტერიტორიაზე მშენებლობების, სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების და არქიტექტურული ობიექტების იერსახის შეცვლისათვის მოსაკრებლების შესახებ

ოზურგეთის რაიონული საკრებულოს 2000 წლის 25 თებერვლის №12 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ინსტრუქციები ოზურგეთის რაიონის ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის, ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვის ნებართვისათვის და არქიტექტურული ობიექტების სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ნებართვისათვის მოსაკრებლების გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ.

ეს ინსტრუქციები შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს ოზურგეთის რაიონის ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

ინსტრუქციის მიხედვით მოსაკრებლის გადამხდელები არიან მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირები, ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირები, არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრეები, რომლებსაც განზრახული აქვთ ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა.

მოსაკრებლის განაკვეთი ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების წართის ყოველი 1 კვ. მეტრისათვის:

ა) ქ. ოზურგეთში, ოზურგეთ-ჩოხატაურის, ოზურგეთ-ქობულეთის, ოზურგეთ-ფოთის ავტოგზებზე და სარკინიგზო სადგურების მიმდებარე (გზის გვერდულა ხაზიდან 100 მეტრის მანძილზე და სარკინიგზო სადგურიდან 200 მეტრის რადიუსში) ტერიტორიაზე - 1ლარი;

ბ) ოზურგეთის რაიონის დაბების, თემების, სოფლების ტერიტორიაზე - 0,5 ლარი;

გ) საკურორტო ზონებში სამრეწველო (სამეწარმეო) ობიექტებისათვის: დაბა ურეკში - 5 ლარი, ბომის მთასა და სხვა საკურორტო ადგილებში - 3 ლარი.

ადგილობრივ სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიებისა და მგზავრთა სიულების შესაბამისად ყოველთვიურად:

ტაქსი - 5 ლარი;

მიკროავტობუსი – 11 ადგილამდე - 10 ლარი;

ავტობუსი - 12-24 ადგილამდე - 15 ლარი;

ავტობუსი 35-45 ადგილამდე - 25 ლარი;

ავტობუსი - 45 ადგილს ზევით - 30 ლარი.

მოსაკრებლის განაკვეთი არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლისათვის, - შეცვლის ქვემდებარე ფასადის ყოველი კვ. მეტრისათვის:

ა) ქალაქ ოზურგეთში, დაბა ურეკში, საკურორტო ზონებში, სარკინიგზო სადგურების, ცენტრალური ავტოგზასების (გზის გვერდულა ხაზიდან 100 მ მანძილზე და სარკინიგზო სადგურების 100 მ რადიუსში) მიმდებარე ტერიტორიაზე -1 ლარი;

ბ) რაიონის სხვა ტერიტორიაზე - 0,5 ლარი.

მოსაკრებლების გადახდის წესი და ვადები:

1. მშენებლობის დაწყების, სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისა და არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ნებართვისათვის მოსაკრებლების გადახდა ხდება წინასწარ, ნებართვის გაცემამდე უნაღდო და ნაღდი ანგარიშწორების წესით.

2. უნაღდო ანგარიშწორება ხორციელდება არსებული წესის მიხედვით.

3. ნაღდი ანგარისწორება ხორციელდება რაიონის ბიუჯეტის მომსახურე ბანკში მოსაკრებლის თანხის შეტანის გზით.

4. მშენებარე ობიექტის მესაკუთრის სურვილით ან მიზეზით ნებართვის ვადის გასვლამდე მშენებლობის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების შეწყვეტის, არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ქვემდებარე ობიექტის მესაკუთრის (მფლობელის) სურვილით ან მიზეზით ნებართვის ვადის გასვლამდე საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში მოსაკრებლის სიდიდე არ გადაიანგარიშება და თანხა უკან არ ბრუნდება.

შევინარჩუნოთ მუზეუმი – ჩვენი წარსული და ჩვენი მომავალი!

თხუტმეტიოდე წლის წინათ ოზურგეთის რაიონში 14 მუზეუმი ფუნქციონირებდა. აქ არაერთი ჩამოსული სტუმარი ეცნობოდა რაიონის მდიდარ ისტორიულ წარსულს, გურულ ტრადიციებსა და ეთნოსს.

ცნობილი მოვლენების შემდგომ, 1995 წლისათვის რაიონში მხოლოდ ერთი მუზეუმი შემორჩა.

1987 წლამდე ოზურგეთის რაიონში არსებობდა მუზეუმთა გაერთიანება. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეთაურობით, მაგრამ მაშინდელი რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეს გამაერთიანებელი ფუნქცია ჩამოერთვა და ადგილობრივი მუზეუმები სასოფლო-სამეურნეო საბჭოებს მიეკუთვნა. ამ ეტაპიდან დაიწყო მუზეუმთა ძარცვა-განადგურება. წლების მანძილზე შექმნილი ნათაყვანები განძიდან, დღეს თითქმის არაფერი ადგილზე აღარ არის და არც არავინ დაინტერესებულა, თუ სად და როგორ მოიტაცეს კულტურის უძველესი საგანძური.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფელ ხვარბეთში არსებული ძმები ლესელიძეების სახლ-მუზეუმი. გაძარცული და გაყიდულია ლესელიძეთა კუთვნილი სახლი, მასში ექსპონირებული მასალები (ტანსაცმელი, ფოტომასალა, ეთნოგრაფიული დნიშნულების ნივთები), მიტაცებულია სამზადი სახლი, ნალია, ბეღელი... ამ მუზეუმის აღდგენის თაობაზე არაერთხელ დაისვა საკითხი ვეტერანთა მიერ, რის საფუძველზეც რაიონულ გამგეობაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ევალებოდა შემორჩენილი თუ მოძიებული დატაცებული ექსპონატების შეგროვება და რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სპეციალური კუთხის მოწყობა.

ასევე განადგურებულია ბახვის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ცნობილი ხალხსნის ისიდორე ქიქოძის ოდა-სახლი (დაახლოებით 165 წლის წინ აშენებული) შესანიშნავი ნიმუში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა, მასში ექსპონირებული 1000-ზე მეტი უნიკალური ექსპონატი. გაუქმდა და გაჩანაგდა შემოქმედში ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუზეუმი, „მეჩაიეთა სახლი“ დვაბზუში, დაიკარგა საყურადღებო ექსპონატები. დაიწვა ცხავათას გორაზე არსებული სოფ. ძიმითის ორსართულიანი დიდებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საგანგებო დარბაზით, შესანიშნავი ავეჯითა და უნიკალური საგამოფენო მასალებით; განადგურებას და გატაცებას გადარჩენილი ვერცხლით ნაჭედი უნიკალური ოქროცურვილი თოფები დღემდე ინახება ძიმითში მცხოვრები ლევან თავდიშვილის ოჯახში.

1995 წლის 28 დეკემბერს რაიონულ გამგეობაზე განიხილეს საკითხი რაიონის სამუზეუმო დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზე მიღებული დადგენილებით სოფლის გამგებელებს ევალებოდათ მათ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმებიდან გატაცებულ ფასეულობათა მოძიება, ხოლო დატაცებასა, ძარცვასა და განადგურებას გადარჩენილი ფასეულობანი სათანადო აქტებითა და დოკუმენტებით უნდა გადასცემოდა ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. აღნიშნული დადგენილების არცერთი პუნქტი არ შესრულებულა.

დღეისათვის ოზურგეთის რაიონში ფუნქციონირებს ქალაქის ცენტრში არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც დაცულია 100 ათასზე მეტი ექსპონატი, მათ შორის 60 ათასი უნიკალური ფოტო, ნივთიერი დოკუმენტური მასალა. ბოლო ხანებში სამუზეუმო საქმიანობა კვლავ საგრძნობლად გამოცოცხლდა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი განსაკუთრებით გააძლიერა სუფსის ტერმინალზე მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ. მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, გამოიცა შესაბამისი ბროშურები: „ძველი ოზურგეთი“, „ლიხაურის ეკლესია“, „ჯუმათის მონასტერი“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კრებულები: „გურია-1“ და „გურია-2“.

2000 წლის 16 თებერვალს ოზურგეთის რაიონულმა გამგეობამ კვლავ იმსჯელა ოზურგეთის რაიონში არსებულ მუზეუმთა დაცვისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და დაავალა რაიონის სოფლების ყველა საკრებულოს დაინტერესდნენ და მოიკითხონ მათთან არსებულ მუზეუმთა და კულტურის სხვა ობიექტების მდგომარეობა, გამოძებნონ საშუალებები მათი აღდგენისა და დაცვისათვის, ამასთან, საქართველოს კულტურის შესახებ კანონის შესაბამისად, არ დაუშვან კულტურის ობიექტების არამიზნობრივად გამოყენება. ხოლო ცხავათას მუზეუმიდან გადარჩენილი თოფების მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადატანისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც უკვე უზუნველყოფს ლ. თავდიშვილის ოჯახში შენახული ზემოთ ხსენებული თოფების მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადატანას სათანადო აქტით.

დადგენილებაში გათვალისწინებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სახურავის შეკეთების სამუშაოები. რაიონული გამგეობის მოადგილეს სოციალურ დარგში ვასილ ჩიგოგიძეს დაევალა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამამულო ომის ამსახველი გამოფენის მოწყობა მიმდინარე წლის 9 მაისისათვის.

რაიონული გამგეობის პრესსამსახური.

P.S. *ოზურგეთის რაიონული გამგეობა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საზოგადოება კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ რაიონში არსებული უნიკალური ექსპონატების ერთი ნაწილი განადგურებას გადაურჩა სოფელ ძიმითის მცხოვრები ლევან თავდიშვილის მონდომებით; განუკითხობის წლებში მან საკუთარ თავზე აიღო ძვირადღირებული უნიკალური ნივთების შენახვა, გაუძლო იმ ცდუნებასაც, მრავალგზის რომ შესთავაზეს და მომავალ თაობებს შეუნახა საგანძური. ამ მამულიშვილური, ჭეშმარიტად პატრიოტული და კაცურკაცური საქციელისათვის დიდი მადლობა და დაფასება ეკუთვნის ბატონ ლევანს.*

ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში

„აქ რომ ფერებია, სიზმრის გეგონებათ...“

დიდი გალაკტიონის ეს შესანიშნავი მეტაფორული სახიერება ნამდვილად რომ ესადაგებოდა 24 მარტს ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში შექმნილ მშვენიერ და აშაღლებულ განწყობილებას, რაიონში მომუშავე პროფესიონალმა და თვითნასწავლმა მხატვრებმა, ქარგვისა და ქსოვის ოსტატებმა რომ შექმნეს თავიანთი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით; ესენი გახლავთ სიცოცხლისა და ცხოვრების შემოქმედი ქალბატონები და მანდილოსნები, მომხიბვლელი ქალიშვილები და გოგონები.

სწორედ ამ საინტერესო გამოფენის ფერით „მეტყველ მშვენიერებასთან მისაახლებლად“ (ეს სიტყვები, როგორც ამ წერილის ‘ გალაკტიონისეული სათაურიც, სახიერად და ემოციურად დატვირთული მოსაწვევი ბარათიდანაა ამოკრებილი) მიგვიწვია მისმა თაოსანმა - საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გურიის რეგიონალურმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე ლალა ნაკაიძე).

ადრეული გაზაფხულის ეს მიმზიდველი ვერნისაჟი პირველ რიგში გვხიბლავს და გვაოცებს მხატვრულ ნაწარმოებთა მრავალფანრობრიობით, ფერთა კოლორიტის ნაირფეროვნებითა და კომპოზიციათა დახვეწილობით.

ქალი მხატვრების ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად გამოფენაზე უხვადაა წარმოდგენილი ხელსაქმის ოსტატთა ნაწარმოებები: გობელენები, ხალიჩები, თექები, მხატვრული ქარგვისა და ქსოვის შესანიშნავი ექსპონატები, რომლებიც ნასაზრდოებია ხალხის წიაღში აღმოცენებული ეროვნული ტრადიციებით და იგი ორგანულადაა შერწყმული თანამედროვებასთან; და, რაც მთავარია, ყველა მათგანში ირეკლება თავისთავადობა და საკუთარი ხელწერის სიცხადე, ქალური განწყობილების სითბო და მომხიბვლელობა, სწრაფვა მშვენიერებისა და აშაღლებულისაკენ.

ვუყურებთ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა რუდუნებით შექმნილ, სიკეთითა და იმედიანი ოცნებით აღვსილ მხატვრულ ნამუშევრებს და სიამაყის გრძნობით ვივსებით, რომ მის ავტორებს დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების გამო მრავალი პრობლემებით დატვირთულ დროში, ჰყოფნით ძალა, ენერგია, სურვილი, მხნეობა, სულიერად იყვნენ აშაღლებული, ემსახურონ ხელოვნებისა და მშვენიერების მუზებს და გვაზიარონ კეთილშობილებასა და სიკეთეს, რითაც სამყარო ღვთიურ სილამაზედ მოიაზრება“.

ბარაქალა თქვენს გონიერებას, ნიჭსა და ნატიფ შემოქმედებას!.

ყველაფრისათვის ძალიან დიდი მადლობა!

***

ვერნისაჟზე გამოფენის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს ლალა ნაკაიძემ, ვახტანგ მამეიშვილმა, ვასილ ჩიგოგიძემ, მარინა გაბუნიამ და ამ სტრიქონების ავტორმა.

ვერნისაჟის დასასრულს ლალა ნაკაიძემ გამოფენის ყველა მონაწილეს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ელგუჯა მევარდნაძე.

27 მარტს აღინიშნა თეატრის საერთაშორისო დღე

„რამდენი სიტყვა დამრჩა უთქმელი! მე არ მოვკვდები, არა, მხოლოდ გარდავიცვლები“...

ეს პოეტური ნააზრევი ეკუთვნის მსახიობს – ლეგენდას შანგი ჩხეიძეს.

ვისაც უნახავს შანგი, ის ვერასოდეს დაივიწყებს მის უჩვეულო, ოცნებისმომჭრელი მოულოდნელობით აღსავსე ტალანტს“. – ვერიკო, მისი ბედნიერი პარტნიორი და მუზა.

„ბურუანტელის მომგვრელი და ნერვების დამწყვეტი იყო მისი ჰამლეტი, ოსტა, ფრანჩესკო ჩენჩის მონოლოგები. ამის განმეორება შეუძლებელია. ეგ და აღარ იქნება“... - ეს დიდი მსახიობის შეფასებაა, - აკადემიკოსის, მწერლის, კრიტიკოსისეული – ბატონ გიორგი ჯიბლაძისა.

შანგიმ ხომ თავისი ზეშთაგონებული თამაშით პოეტების მეფე გალაკტიონიც აცრემლა, ააცახცახა და სპექტაკლის დამთავრებამდე „გააძევა“ დარაზიდან... „არა, ძამიკო შანგი, არ შეიძლება ამის ყურება, არაფერით არ შეიძლება!“ - აღმოხდა გალაკტიონს.

და... ამოდენა ბუმბერაზი მსახიობი, რომელმაც სამსონივით შეაზანზარა მოძველებული თეატრალური თამაშის წესები, გააადამიანურა ჰამლეტი, იაგო, ყვარყვარე, გოდუნი, ჩენჩი... დროზე დიდი ხნით ადრე, 34 წლის ასაკში გაუცალა სცენას, მაშინ, როცა მისი ნიჭის სრული გაფურჩქვნის დრო დადგა.

ჭეშმარიტი ხელოვანის შრომა ფასდაუდებელია. ვერავითარი ჰონორარით ვერ გადაიხდი მის ნამოღვაწარს - ის თავის წილ სიცოცხლეს ხარჯავს ხალხის სამსახურად. და ასეთ კაცს, როგორც ზვარაკს, სამსხვერპლოდ გამზადებულს, გაფრთხილება სჭირდება.

ეთილშობილმა სულმა არავის, ვინც მას ზიანი მიაყენა, არ გაუსწორა ანგარიში, თავად გაეცალა ულირსებს და ამით მან დიდი ტრავმა მიიღო, ხოლო თეატრმა, ქართულმა ნიჭიერებამ დაკარგა საზრდო, დიდი შთაგონება - შანგი ჩხეიძე.

„რამდენი სიტყვა დამრჩა უთქმელი,
ანდა სიმღერა რამდენი გრძნობის,
რამდენი სახე ხორცშეუსხმელი,
რამდენი ქარგა განზრახულ როდის.“

ესეც მისი პოეტური ამოძახილია. შანგი - მსახიობი, პოეტი, დრამატურგი, მწერალი, რამდენი რამ ხელოვნებისა და მისი არცერთი საქმე უბრალოდ და უმნიშვნელოდ არ წარმოინერა. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა მისი სულის თრთოლვა, - მოგისმენიათ · მისი ჩანაწერები რადიოში? - მაშინ დამეთანხმებით! კაცი დნებოდა, იწვოდა, როგორც ვერიკო იგონებდა, „ბოლი ასდიოდა“.

... და ასეთი კაცი დაიფერფლა სულ ადრე - 55 წლისა.

გასულ სექტემბერში შანგის დაბადებიდან 100 წელი აღნიშნეს. დროზე დაუნიშნა გამოცდა და იგი ბრწყინვალედ ჩააბარა გენიოსმა მსახიობმა.

„მე მოვდიოდი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მომქონდა თქვენთვის“.

...და, აი, მოვიდა ჭეშმარიტი აღიარება. მას ტიტულად დაუწესეს „მეფე-მსახიობის“ წოდება, ხოლო სავანად – მთაწმინდა, ღირსეულ ქართველთა ძვალშესალაგი, განწმენდაც და აშაღლებაც. მალე მის წიაღში მეფე-მსახიობის ნეშტი დაივანებს - ვერიკოს გვერდით, სერგო ზაქარიაძის გვერდით.

...ბედნიერება მხვდა წილად ოზურგეთის თეატრის წარმომადგენელი ვყოფილიყავი დიდებულ ზეიმზე 26-27 სექტემბერს ზესტაფონსა და ქუთაისში, შანგი ჩხეიძის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით.

მთაბეჭდილება ძალიან დიდია. დავათვალიერე შანგის მუზეუმი, პირადად გავიცანი მისი უბერებელი და ნინიკო, რომელიც თავისი უშრეტი ენერგიით, გამუდმებით ზრუნავს ძის სახელის უკვდავსაყოფად. მან ვერიკოს წიგნი „შანგი ჩხეიძე“ გამოუგზავნა ოზურგეთის თეატრს და მის მუზეუმს წარწერით:

„დღეს დიდი ზეიმია ხელოვნების სამყაროში - შანგის დაბადების 100 წლისთავი. მადლობის გრძნობით გეფერებით მთელ ოზურგეთს.. ულრძესი პატივისცემით ვუძღვნი ამ ბუკლეტს შანგი ჩხეიძისას ოზურგეთის სახელოვან თეატრს, სალოცავს და სასახელოს მთელ საქართველოში“. ნინო ჩხეიძე, საქართველოს სახალხო არტისტი. 1999 წელი, 26.09.“

ზესტაფონსა და ქუთაისში მოეწყო არაერთი ღონისძიება, საზეიმო საღამოები თეატრებში. ვნახე და მოვუსმინე უამრავ ნიჭიერ შემსრულებელს - ხელოვნების მუშაკებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ქართული გენის უკვდავებაში.

ღონისძიებები დიდი ორგანიზებულობით, სითბოთი და ყურადღებით ჩატარდა ზესტაფონისა და ქუთაისის ხელმძღვანელობის და მოსახლეობის ძალისხმევით.

საიუბილეო მზადება ორი წელი მიმდინარეობდა: შეკეთდა, რესტავრაცია გაუკეთდა მუზეუმის შენობას, ექსპონატებს. 122 ათასი ლარი დაიხარჯა ზესტაფონის თეატრის რემონტზე. ზესტაფონის გამგეობამ დააფინანსა ნინო ჩხეიძის მოხოგრაფიის „შანგი ჩხეიძე“ გამოცემა. გამგეობა კიდევ გამოყოფს ფულად სახსრებს შანგი ჩხეიძის ნაწარმოებების გამოცემისათვის (გამოსცემს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი). ფინანსური დახმარება გაეწია იმერეთის თეატრებს ახალი დადგმების განხორციელებისათვის. ამან ნაყოფიც გამოიღო. ზესტაფონის თეატრის სპექტაკლი „ჰაკი აცბა“ სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე.

2000 წელს იმერეთში კიდევ დიდი დღესასწაულებია მოსალოდნელი: ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი იზეიმებს დაარსებიდან 140 წლისთავს; ამ თარიღთან დაკავშირებით მას ენიჭება აკადემიური თეატრის წოდება და შესაბამისი პრივილეგიები, ასევე ქუთაისის ოპერის თეატრს უსრულდება 30 წელი.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გაანალიზდა საზეიმო მიღებაზე, რომელიც მოაწყო იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა თემურ შაშიაშვილმა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები ისრაელიდან, საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის აპარატის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, თბილისის ოპერისა და ბალეტის, იმერეთის თეატრების, ხელოვნების, ბიზნესის სფეროს, მასმედიის წარმომადგენლები.

საღამოს დასასრულს ბატონ თემურ შაშიაშვილს ხუმრობით კუსაყვედურე, ოზურგეთის თეატრის სადღეგრძელო გამოგრჩათ-მეთქი, მანაც ხუმრობით მიპასუხა, „თეთა, აგი რა დამეძართაო!“ სამაგიეროდ დაგვპირდა თავად ოზურგეთის თეატრს ჩამოვიყვან ქუთაისში და აქ ვთამაშებ სპექტაკლსო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა; მართლაც, ამ ბოლო წლებში საქართველოს თეატრები ერთმანეთს რაღაც ძალზე დავშორდით. ურთიერთობების განახლების ძიებაა საჭირო, მითუმეტეს ჩვენს ძირძველ სისხლხორცეულ მეზობელ იმერეთთან.

ჩვენი ხელისუფლების თანადგომის იმედით ვამთავრებ ამ წერილს; ძველი თეატრია ქუთაისში, 140 წლის, ძველი თეატრი აქვს ოზურგეთსაც - 130 წლის. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ თარიღის აღნიშვნაც კი. ისე ნუ ვიზამთ, რომ გურიას აღარ ჰქონდეს თეატრი. მას დიდი, ძალიან დიდი ყურადღება და დახმარება სჭირდება, არა მხოლოდ ხელმძღვანელობისგან, არამედ მოსახლეობისგანაც.

ბატონებო და ქალბატონებო, ხომ სურთ კვლავ აღიზარდონ გურიაში ბუნუნავები, ჟორჟოლიანები, დოლიძეები და მრავალნი და მრავალნი ხელოვნების, ისევე, როგორც სხვა დარგების ღირსშესანიშნავი ადამიანები? მაშ, რატომ დაივიწყეთ თქვენი მშობლიური, დიდი ისტორიის მქონე თეატრი?!.

გელით!..

დაე, კვლავ გაგრძელდეს ისტორია...

ზაირა თოთიბაძე,
საქართველოს დამსახურებული არტისტი.
ზესტაფონი, ქუთაისი.
1999 წ. 26-27 სექტემბერი.

სიკეთისათვის ბრალდებული

(ოზურგეთის თეატრის ისტორიის ერთი ფურცელი)

გურულის მკვირცხლი აზროვნება, ხასიათი, ნიჭიერება, წიგნიერება და ლტოლვა ცოდნის შეძენისადმი, ინტენსიური ცხოვრება, გამორჩეული მიხრა-მოხრა, რომელიც თითქმის თეატრალურია, ხელოვნებისადმი განსაკუთრებული სიყვარული, მაღალი სამშენებლო კულტურა - გამოხატული კოპწია, ჩუქურთმებიან ოდა-სახლებში, უმშვენიერესი ბუნებრივი გარემო, - ყოველივე ეს დიდად განაპირობებდა და ლოგიკურს ხდიდა სინამდვილედ ექცია მის სულში ჩაბუდებული ოცნება თეატრის ჩამოყალიბებისა და 130 წლის წინათ ახდა კიდეც, საფუძველი დაედო ოზურგეთის თეატრს.

...ნიჭიერებას ასპარეზი სჭირდება და ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში ოზურგეთის ხელისუფლებამ, მათ შორის ერთ-ერთმა პირველთაგანმა, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ კირილე სოლომონის ძე გოგუაძემ და მისმა მეგობრებმა საფუძველი ჩაუყარეს კიდეც თეატრის გრანდიოზული შენობის მშენებლობას.

კირილე გოგუაძე მამაჩემი გახლდათ და მე მახსოვს ჩვენს ოჯახში თავმოყრილები როგორ საუბრობდნენ არქიტექტორები, მხატვრები, მშენებელი ინჟინრები, მსჯელობდნენ, რა გზით მოეხერხებინათ ბიუჯეტგარეშე თანხების შოვნა და მშენებლობის დაწყება.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა ამ საშვილიშვილო საქმეს გულგრილად შეხვდა, არც თანხები გამოყო მშენებლობისათვის, ყველაფერი ადგილობრივი სახსრებით უნდა დაფინანსებულიყო. მაშინ კ. გოგუაძის, როგორც ხელისუფლების მეთაურისა და მშენებლობის საინიციატივო კომიტეტის თავმჯდომარის თაოსნობით, გურიის მოსახლეობას შემოწირულობის სახით გააწერეს წელიწადში ერთი მანეთი. და ასე, „ნაცოდვილარი“ თანხით, ჯერ საძირკველი (რომელშიაც მამაჩემის გვარ-სახელიც არის ჩატანებული), შემდეგ სართულები ნელ-ნელა შენდებოდა.

...მაგრამ დადგა 1937 წელი და, არა მარტო მშენებლობა შეჩერდა, ინიციატორებიც დახვრიტეს და მშენებლობისათვის ძლივძლივობით შეგროვებული სამშენებლო მასალები ერთ-ერთი ოზურგეთელი მოქალაქის, პატიოსანი და განათლებული კაცის - ივლიანე სულუხიასათვის ჩამორთმეული საცხოვრებელი სახლის ციხე-საპყრობილედ გადასაკეთებლად წაიღეს, რათა ადვილად მოეხერხებინათ ასეულობით მოგონილი „ხალხის მტრების“ მოშთობა.

პირველადელი პროექტით თეატრის შენობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ელემენტებს მრავლად შეიცავდა და ქანდაკებებით დამშვენებას ვარაუდობდა, მაგრამ შემდეგ იგი უგულებელყვეს.

ჩვენს ოჯახში თვალსაჩინო ადგილას იდო შენობის მაკეტი, რომელიც ავეჯთან ერთად იქნა კონფისკებული, როგორც „კონტრრევოლუციონერის, ანტისაბჭოთა პროპაგანდისტის, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის შექმნილი ცენტრის მეთაურის“ ოჯახიდან ამოღებული ნივთმტკიცება.

საბედნიეროდ, შემოგვრჩა მაკეტის ფოტოსურათი.

მე წაკითხული მაქვს მამაჩემისათვის წაყენებული საბრალდებო დასკვნა, რომელშიაც წერია, რომ მოსახლეობაზე თეატრის მშენებლობისათვის ფულის - წელიწადში ერთი მანეთის - გადახდევინებით იგი, ე. ი. კ. გოგუაძე, ხელოვნურად ქმნიდა უკმაყოფილებას ხალხსა და პარტიას შორის. მას მავნებლობად ჩაეთვალა აგრეთვე ლიხაურის ჰიდროელექტროსადგურის, ქალაქის წყალსადენის, კინოთეატრის („საბჭოთა ადამიანისათვის უცხო ამერიკული სტილის ნაგებობა“) მშენებლობებზე ზრუნვა. განსაკუთრებით დამამძიმებლადაა გამოკვეთილი ის, რომ დაპატიმრების მომენტში მას ჯიბეში ედო ტიციან ტაბიძის „ანტისაბჭოთა“ ლექსი.

ამ ტკივილიანი მოგონებების მიუხედავად, ჩვენი თეატრის შემოქმედებით კოლექტივს და ოზურგეთის მოსახლეობას ვულოცავ თეატრის 130 წლისთავს და ვუსურვებ შემდგომ წინსვლას.

დარწმუნებული ვარ, როგორც თეატრია უკვდავი, ასევე უკვდავი იქნება მისი მშენებლობის ინიციატორთა ხსოვნაც.

სოლომონ გოგუაძე.

ოზურგეთელი ჩანაფიქრით ასეთი უნდა ყოფილიყო ოზურგეთის თეატრის შენობა. ბოლოდროინდელი ვარიანტის მაკეტის მიხედვით შექმნილი ნახატის ფოტორეპროდუქცია

თანადგომისა და ქველმოქმედების სვლაგეზი

ბადრი სვანიძე – კაცი, რომელიც სიკეთეს-ითესავს!

ორი წელია, რაც ბადრი სვანიძე ოზურგეთი [illegible] მარშრუტზე მიკროავტობუსის მძღოლად მუშაობ[illegible] თავისი კეთილი ხასიათით, მოვალეობის მაღალ დონეზე, ხალისიანად შესრულებით და ადამიანებისათვის დახმარების გასაწევად ყოველთვის მზადყოფნით დიდად შეაყვარა მგზავრებს თავი, მრავალჯერ დაიმსახურა მადლობა.

მისი კაიკაცობის, ყურადღებისა და გულისხმიერების დასტურად თუნდაც ასეთი ორიოდე ფაქტის დასახელებაც შეიძლება:

შარშან და წლევანდელ 8 მარტს იგი უსასყიდლოდ მოემსახურა ქალებს, ხოლო გასულ 31 დეკემბერს - ახალი წლის წინადღეს (როცა ყველა საზეიმოდ ემზადება, ჩქარობს, ფუსფუსებს, ბევრი რამ აქვს მოსაგვარებელი) ბადრიმ ყველა მგზავრს უფასო სამსახური გაუწია.

გვიმრავლოს შენისთანები, ჩემო ბადრი!

ილო ბაქანიძე.

გაზაფხული მკვიდრდება...

გაზაფხულის შემობრძანებას დიდი სითბო მოჰყვება ყველგან. და მაინც ასე მგონია, განსაკუთრებით ეს ჩვენთან, ქართველებთან იგრძნობა უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან. გაზაფხულია საწყისი სიცოცხლისა და დღეგრძელობისა.

ბევრი ლამაზი ღონისძიება ეწყობა წელიწადის ამ დროს. სწორედ ამის დასტური იყო რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირის მიერ ჩატარებული შეხვედრა, რომელიც მრავალშვილიან პედაგოგებს მიუძღვნეს. შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის მხარის აღმინისტრაციის, რაიონული გამგეობის, განათლების განყოფილებისა და სხვადასხვა სკოლების წარმომადგენლები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ოზურგეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ როზა გოგუაძემ, შემდეგ კი სიტყვა გადასცა ამ ღონისძიების წამყვანს, შემოქმედის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში ნინო სადრაძეს. მრავალშვილიან პედაგოგებს გულთბილად მიესალმნენ განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე მაიზერ ცელაძე, განათლების განყოფილების წარმომადგენელი კლარა გურგენიძე, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლალა ნაკაიძე და ამავე ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ნანა ქინქლაძე; საფინანსო განყოფილების გამგე ლიანა ჭანუყვაძე, რაიონული გამგეობის წარმომადგენელი მზია ნინიძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ირინე ბილიხოძე, №2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ფაგი სიორიძე, შემოქმედის საშუალო სკოლის დირექტორი გივი გიორგაძე.

შეხვედრას ალამაზებდნენ ლიხაურელი პედაგოგების მანანა და ელიკო ვაშაყმაძეების მიერ შესრულებული სიმღერები. თამამბეჭდავი იყო ოზურგეთის თეატრის მსახიობის, იმდღევანდელი კაფესალონ „იალონის“ დიასახლისის ზაირა თოთიბაძის მისალმებაც ამაგდარი დედებისადმი. განათლების მუშაკთა პროფკავშირმა და რაიონულმა გამგეობამ მოკრძალებული საჩუქრები გადასცეს მოწვეულ სტუმრებს.

და ბოლოს, მადლობა გვინდა ვუთხრათ ამ ღონისძიების ორგანიზატორს ქალბატონ როზა გოგუაძეს ამ ლამაზი დღისათვის, იქ გატარებული რამდენიმე საათისათვის, რადგან სტუმრებმა თვალნათლივ იგრძნეს, რომ ისინი ახსოვთ, უყვართ, მათით ამაყობენ.

გვჯერა, რომ ამ შეკრებიდან გამოყოლილი სითბო და სილამაზე მათ დიდხანს გაჰყვებათ და ხვალინდელი დღის სტიმულს მისცემთ.

ნინელი კალანდაძე.

საქართველოს

არ დაშრა შენი თმენის მდინარე,
შენს ფირუზ ცაზე კლებულობს ნისლი...
მტრებთან ძალდაძალ, ძმებთან მხარდამხარ,
იქედით მისდევ გზასავალს წინსვლის.

შენი წარსული და შენი აწმყო
სავსეა მრავალ იდუმალებით,
დასძლიე შიში, შური და მტრობა
და მერმისს უმზერ ფართო თვალებით.

ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს მარად,
უდრეკი რწმენა სულ გქონდეს ფარად!

ალექსანდრე მაისურაძე.

ქართული ხალხური სიმღერების დიდოსტატები

სახელოვანი ლოჭბარი და სახალხო მომღერალი ვარლამ სიმონიშვილი

(50 წელი გარდაცვალებიდან)

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატი, გურული სიმღერების კორიფე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვარლამ ოქროპირის ძე სიმონიშვილი.

ის იყო ქართული ხალხური სიმღერა-გალობების საუკეთესო მცოდნე, პედაგოგი და შემსრულებელი, უდიდესი როლი შეასრულა გურული სიმღერების შენახვის და განვითარების საქმეში.

ვარლამს ბავშვობიდან სიმღერა-გალობა შეასწავლა გურიაში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მომღერალ-მგალობელმა ანტონ დუმბაძემ. შემდეგ ახალგაზრდა ვარლამი თვითონ შეუდგა სიმღერა-გალობების სწავლებას ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში და გურიის სხვადასხვა კუთხეში.

1903 წელს ვ. სიმონიშვილი აყალიბებს მომღერალთა გუნდს, რომლითაც მან მგკიცე საფუძველი ჩაუყარა გურული ხალხური საგუნდო სიმღერების პოპულარიზაციასა და განვითარების დიდ საქმეს.

ვ. სიმონიშვილი გაეცნო და შეუამხანაგდა გამოჩენილ მომღერალს, „გურიის ბულბულად“ წოდებულ სამუელ ჩავლეიშვილს, რომელიც მოიხიბლა ვარლამის ნიჭით, სიმღერა-გალობის ცოდნით და სწავლების უნარით. 1908 წელს პირველად იქნა ჩაწერილი ქუთაისში 15 გურული სიმღერა გრიოს - სამუელ ჩავლეიშვილის, ალექსანდრე მახარაძის და ვარლამ სიმონიშვილის შესრულებით, რომელიც დღემდე სანიმუშოდ ითვლება. 1910 წელს ვ. სიმონიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალგაზრდების გუნდი, რომელიც წლების მანძილზე მონაწილეობდა საქველმოქმედო მიზნით გამართულ კონცერტებში. 1913 წელს ვ. სიმონიშვილის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამოში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

1917 წლიდან ვ.სიმონიშვილი თავის გუნდში იწვევს გურიის რეგიონიდან სიმღერით დაინტერესებულ პირებს და ასწავლის მათ გურული სიმღერების საუკეთესო ვარიანტებს. 1929 წელს ვ. სიმონიშვილი ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკასთან აყალიბებს 90-წევრიან ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდს. ამ ანსამბლში ნაყოფიერი მუშაობისათვის ვარლამმა საპატიო ჯილდოები დაიმსახურა.

30-იან წლებში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა სამხედრო გუნდის ხელმძღვანელად მიიწვია ვ. სიმონიშვილი, რომელმაც გუნდს შეასწავლა როგორც მხედრული, ისე ქართული ხალხური სიმღერები. ჯარისკაცებმა ვარლამს „მუსიკის გენერალი“ შეარქვეს. გუნდმა დიდ აღიარებას მიაღწია არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში. 1935 წელს მოსკოვში მიიწვიეს ვარლამის გუნდი, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად, — ხანგრძლივი ოვაციით გააცილეს ვარლამი და მისი სამხედრო ანსამბლი სცენიდან. მარშალმა კ. ვოროშილოვმა ვ. სიმონიშვილი პირადი ჯილდოთი — ჯიბის საათით დაასაჩუქრა, რომელზედაც ამოგვიფრული იყო: „ვ.სიმონიშვილს ვოროშილოვისაგან“. სამხედრო გუნდის წარმატებაზე წერდნენ გაზეთები „პრავდა“, „კრასნაია ზვეზდა“ და სხვ.

1932 წელს ვ. სიმონიშვილი ოზურგეთში აყალიბებს სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდს, რომელსაც ხელმძღვანელობს 1950 წლამდე, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ამ გუნდმა იარსება 1952 წლამდე.

1946 წელს ვ. სიმონიშვილს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ვარლამმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე შექმნა მრავალი დიდებული, მართლაც უჭკნობი სიმღერები: „დილა“, „ბაღია ჩვენი ქვეყანა“, „საქართველოს მზე ეწვია“, „სიმრერა გენერალ ჩანჩიბაძეზე“, „გაზაფხული“, „სოფლად მოდის შემოდგომა“, „სიმღერა წითელ არმიაზე“, „ოცდახუთი წლის არწივი“ და სხვ.

მე სავსებით მართებულად ვთვლი თავს ბედნიერად და დიდად მეამაყება, რომ ამ დიდი ხალხური მომღერლის მოსწავლე ვარ. ვარლამისაგან მისი გუნდის წევრები ვსწავლობდით და ვითვისებდით გურული ხალხური სიმღერების საუკეთესო ვარიანტებს, ვეუფლებოდით შესრულების ჩვევებს და ოსტატობას; ყოველივე ეს მისმა მრავალმა ნიჭიერმა მოსწავლემ ნაყოფიერად გამოიყენა და გადასცა მომდევნო თაობებს.

ვარლამ სიმონიშვილის საოცარ ნიჭზე მოგვითხრობს მისი დიდი მეგობარი, ასევე სახელგანთქმული კიწი გეგეჭკორი. როცა მან ვარლამს ჰკითხა, რამდენ საგალობელს გაიხსენებდიო (კიწის მოსმენილი ჰქონდა ვარლამ სიმონიშვილის, არტემ ერქომაიშვილის და დიმიტრი პატარავას მიერ შესრულებული საგალობლები), ვარლამმა უპასუხა 1500-მდეო, რომლებიც ანტონ დუმბაძემ შემასწავლაო.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 66 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან უდიდესი ხელოვანი - ლოგბარი, მომღერალი და მასწავლებელი ბატონი ვარლამ სიმონიშვილი, რომლის დაკრძალვას საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები დაესწრნენ, მისი შორაელრიცხოვანი მეგობრები, აღზრდილები და ბრწყინვალე ნიჭის თაყვანისმცემლები.

ვარლამ სიმონიშვილი მივაბარეთ მიწას შემოქმედის ისტორიული მონასტრის ეზოში, 1950 წლის 28 მარტს, მისი მასწავლებლის ანტონ დუმბაძის გვერდით.

კარლო ურუშაძე.

ღირსსახსოვარი შეხვედრა

ორიენტირება მასწავლებლის პროფესიაზე

ამას წინათ სოფ. დვაბზუს საშუალო სკოლის კოლექტივმა (დირექტორი — ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი მამია ხავთასი) შეხვედრა მოუწყო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც თავიანთ მომავალ პროფესიად მასწავლებლობა აურჩევიათ.

ღონისძიება, რომელიც ჩაიფიქრა და განახორციელა სკოლის ორგანიზატორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილმა მასწავლებელმა ნანი ღლონტმა, მრავალმხრივ გახლდათ საინტერესო, კარგად იყო ორგანიზებული. მოსწავლეთა სიტყვებში, ლექსებსა თუ სიმღერებში ისმოდა მასწავლებლობის და მასწავლებლის გულწრფელი სადიდებელი.

ეს საზეიმო შეხვედრა, რომელმაც დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, თუნდაც იმითაც იყო მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნავი, რომ იგი არა მაინცდამაინც, საგანგებოდ პროფესიული დღესასწაულის — მასწავლებლის დღეს, არამედ ერთ ჩვეულებრივ დღეს გაიმართა, რამაც კიდევ უფრო მეტი ბუნებრიობა და გულითადობა შემატა პედაგოგებისა და მოსწავლეების ამ ურთიერთსიყვარულით აღსავსე თავშეყრას, რომელშიაც მრავალი თანასოფლელი მონაწილეობდა.

ნინო ღლონტი,

დვაბზუს საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრი, ოზურგეთის სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

გასწორება

„ალიონის“ წინა — 18 მარტის ნომერში რედაქციის მუშაკის დაუდევრობით გავიდა უხეში, მეტად დასანანი შეცდომა: მე-4 გვერდზე ნეკროლოგის სათაურად წერია **დათო თხილაიშვილი**, უნდა იყოს **დათო ბიორგაძე** (თხილაიშვილი გარდაცვლილის დედის გვარია).

რედაქცია ბოდიშს უხდის განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და გაზეთის მკითხველებს.

ოზურგეთის რაიონული საკრებულო, რაიონული გამგეობა, შრომის თემის საკრებულო იუწყებიან შრომის თემის საკრებულოს მდივნის **თამაზ ვალერიანის ძე ქვილორიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა კვირას, 2 აპრილს, სოფ. შრომაში.

ქ. ოზურგეთის მეორე საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება **ვასილ (ტუკა) პანტელეიმონის ძე ბოგატაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლამარა, ლია, ლალი, მამია კილაძეები, ოთარი გაბაიძე, ალექსანდრე სიხარულიძე ოჯახით იუწყებიან **ივანე ილიას ძე სვანიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

6 თვით — 6 ლარი

გამოიწერეთ, იკითხეთ თქვენი ძველი და ერთგული მეგობარი გაზეთი „ალიონი“!

12 თვით — 12 ლარი

ხსოვნა ნათელი

ვასილ (ტუკა) ბოგატაძე



ალბათ, უპირველესად, ღვთის წყალობა გახლავთ, რომ იმ ცნობილ წლებში უდანაშაულოდ რეპრესირებულთა შვილების აბსოლუტური უმრავლესობა არ გაუბოროტებია იმ უდიდეს უსამართლობას, რაც მათ ოჯახებს დაატყდათ თავს, და თითქმის ყველა მათგანი აღიზარდა სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მაგალითად.

საამისოდ სიკეთის უპირველესი მადიდებლის, ჩვენი სულმნათი ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედებაც ნათლად მეტყველებს, სხვა, მისებრ ვარამგადახდილი ბევრი ადამიანის მაგალითსაც რომ არ მოვუხმოთ.

მათ შორის იყვნენ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ძირძველი, საუკეთესო ოჯახის — პანტელეიმონ ბოგატაძისა და თამარ ხუხუდაძის ვაჟიშვილები, ძმები ვასილ (ტუკა) და კოტე ბოგატაძეები.

ბატონი პანტელეიმონი უცხო პირისათვის, რომელიც თურმე იმდროინდელი წყობილებისადმი არ ყოფილა კეთილგანწყობილი, წამლის მიცემას კინაღამ ემსხვერპლა, - წლების მანძილზე იყო ცივ ჩრდილოეთში გადასახლებული.

მეუღლის ბედი მნიშვნელოვანწილად განიზიარა ქალბატონმა თამარ ხუხუდაძემ, რომელსაც ისეთ ამაგდარ მანდილოსნებთან ერთად როგორიც იყო უმანკო ჭეიშვილი, არიან ნადია ჩანჩიბაძე, ელენე დოლიძე და სხვები, დიდი წვლილი მიუძღვის ქ. მახარაძის ბავშვთა სახლის შექმნასა და სამაგალითო საღამზრდელო დაწესებულებად ჩამოყალიბებაში, რომელსაც დღესაც [illegible] იხსენებენ საქართველოს გარეთ [illegible] მცხოვრები აქ აღზრდილი თაობებ[illegible]

ყოველივე ეს ყოველმხრ[illegible] მოვიგონეთ ამ რამდენიმე წლის წ[illegible] როცა საბოლოო გზაზე გავაცილ[illegible] კოტე გოგატაძე, ჩვენს რაიონ[illegible] ფიზკულტურულ-სპორტულ[illegible] ცხოვრების დიდი ამაგდარ[illegible] ქართული ფეხბურთის შნო და სილ[illegible]ბაზე, ჩვენი საყვარელი მეგობარი.

სულ ახლახან კი ღ[illegible] მწუხარებით გამოვეთხოვეთ [illegible] უფროს ძმასაც —ვასილ გოგატაძ[illegible] ჩვენს ტუკას, რომელიც თითოეულ[illegible] ჩვენთაგანს ასე ძალიან მიგვაჩნ[illegible] მართლის თქმისა და სიკეთის კეთებ[illegible] დიდი უნარისა და უაღრესი კო[illegible]ნიკაბელურობის გამო.

ვასილ გოგატაძე გამორჩეულ[illegible] იყო, როგორც კოლექტივის წევრ[illegible] შრომითი საქმიანობა ძან 1943 წ[illegible]დან დაიწყო.

სპეციალური განათლების მიღებ[illegible] შემდეგ ოზურგეთ[illegible] პედასწავლებელში ფიზკულტურ[illegible] მასწავლებელი იყო, შემდეგ ნახევ[illegible] საუკუნეზე მეტი ემსახურ[illegible] ოზურგეთის ნ. დუმბაძის სახელობ[illegible] № 2 საშუალო სკოლის მოსწავლეებ[illegible] შრომით აღზრდას.

იგი არასოდეს [illegible] შემოფარგლულა მხოლოდ გა[illegible] ვეთილების ჩატარებით, ვასილ[illegible] გოგატაძის ფხიზელი, ინტელექტ[illegible]ალური ხედვა წვდებოდა სასკოლ[illegible] ცხოვრების რთულ ლაბირინთებ[illegible] ყველა კუთხეს, იყო ეს მოსწავლეებ[illegible] კოლექტივის დისციპლინა თუ ორ[illegible]ნიზებულობა, ესთეტიკური გარე[illegible] თუ კოლექტივის თითოეული წევრ[illegible] ლხინისა და ჭირის თავკაცობ[illegible] ხოლო, რაც შეეხება ძის მ[illegible] ჩატარებულ გაკვეთილებს, ი[illegible] ყოველთვის გამორჩეულ[illegible] დიხაძიურობით, სიხალისით, სასწ[illegible]ლო და სააღმზრდელო მომენტებ[illegible] ერთიანობით.

დაე, მსუბუქი იყოს, მისთვ[illegible] მშობლიური ქალაქის სასაფლაო[illegible] მოიდანახის ღვთით ნაკურთხი მიწა.

ოზურგეთის რაიონის განათლ[illegible]

მუშაკთა პროფსაბჭ[illegible]

ნ. დუმბაძის სახელობის N[illegible]

საშუალო სკოლის კოლექტივ[illegible]

თამაზ (თეზიკო) ქვილორია

მოულოდნელად გარდაიცვალა შრომის თემის საკრებულოს მდივანი, შესანიშნავი მოქალაქე, ღირსეული პიროვნება თამაზ (თეზიკო) ქვილორია.

თ. ქვილორია დაიბადა სოფ. შრომაში 1936 წელს, მოსამსახურის ოჯახში. დედ-მამა ელენე ჩხაიძე და ვალერიან ქვილორია პედაგოგები იყვნენ. ბატონი ვალერიანი შრომის საშუალო სკოლის დირექტორი, მოხალისედ წავიდა სამამულო ომის ფრონტზე და აღარ დაბრუნებულა.

ობლობაში იზდებოდა თამაზი, ბრდიდა დედა, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი ელენე. თ. ქვილორიას მშობლებიდან გამოჰყვა ბავშვებისა და წიგნის სიყვარული, დიდი ერუდიცია, ადამიანებთან ურთიერთობის უსაზღვრო ნიჭი. 1954 წელს დაამთავრა სოფ. შრომის საშუალო სკოლა, 1956 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა სამხედრო სამსახურში, დაბრუნებისთანავე, 1959 წელს შევიდა უკრაინის ქ. ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოოტექნიკურ ფაკულტეტზე. 1964 წელს სწავლული ბოოტექნიკოსის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში მთავარ ბოოტექნიკოსად. ამ თანამდებობაზე იმუშავა 1990 წლამდე. შემდეგ შრომით საქმიანობას ეწეოდა საკუთარ მეურნეობაში. მისი ხელით მორგულ-მოშენებულ ეზო-კარმიდამოს დიდად გამოცდილი აგრონომის ხელი ატყვია.

1998 წელს თამაზ ქვილორია არჩეულ იქნა ჯერ შრომის თემის საკრებულოს დეპუტატად, შემდგომ - ამავე საკრებულოს მდივნად, სადაც ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.

აღსანიშნავია, რომ თამ[illegible] ქვილორიას აქტიური წელი[illegible] მიუძღვის ოზურგეთის რაიონ[illegible] და სოფ. შრომის და უკრაინ[illegible] ხერსონის ოლქისა და გეხიჩეს[illegible] რაიონის ტრადიციული მეგობ[illegible]ბის, ნაყოფიერი თანამ[illegible] რომლობის განმტკიცებ[illegible] განვითარებაში.

2000 წლის 28 მარტს წავ[illegible] ჩვენგან, სრულიად მოულო[illegible]ნელად. გულმა ულალატა, ფეხ[illegible] დამდგარი შეეგება სიკვდილ[illegible] სულ ორი დღის შემდეგ კი — [illegible] მარტს, მისი დაბადების დღე [illegible] ვაგლახ, რომ ველარ მოესწრო!

წავიდა ჩვენგან კაცური კაც[illegible] მზრუნველი მამა და მეუღლ[illegible] შესანიშნავი ბაბუა.

დატოვა მეგობრების დ[illegible] არმია, არა მარტო საქარ[illegible] ველოში, არამედ უკრაინაშიც [illegible] ყოფილი საბჭოეთის მრავა[illegible] კუთხეში.

იყოს მსუბუქი მის მკერ[illegible] დაყრილი მშობლიური მიწა.

ოზურგეთის რაიონ[illegible] საკრებულ[illegible]

შრომის თემის საკრებულ[illegible]

რედაქტორი თამაზ სალუქვაძე

გაზეთი ააწყო და დააკაბადონა ვლადიმერ მეგრელაძემ.

დაიბეჭდა სს „ოზურგეთის სტამბაში“ (დავით აღმაშენებლის ქ. № 146).

რედაქციის მისამართი:

ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის 3.

☎ 6-33-66

ინდექსი 66564